

ინსტრუქცია

(აგენტის მიერ გადახდების მიღების შესახებ)

ტერმინთა განსაზღვრება

საგადახდო მომსახურების პროვაიდერი – შპს „თიბისი ფი“;

აგენტი – პირი, რომელიც შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე და მის ფარგლებში საგადახდო მომსახურების მიწოდებისას მოქმედებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სახელით;

მიმღები – პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდის ოპერაცია;

გადამხდელი – პირი, რომელიც გასცემს საგადახდო დავალებას ან/და ეთანხმება საგადახდო დავალების გაცემას;

საგადახდო დავალება – გადამხდელის მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის მიცემული დავალება გადახდის ოპერაციის განხორციელების შესახებ;

გადახდის ოპერაცია – გადამხდელის მიერ ინიცირებული ფულადი სახსრების განთავსების/ჩარიცხვის, გადარიცხვის ოპერაცია;

აგენტის ტერიტორია – გადახდების მიღების პუნქტები, რომლებშიც აგენტი თვითმომსახურების ტერმინალების ან/და ნებისმიერი ტექნიკური/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ახორციელებს გადახდების მიღებას;

სუბსააგენტო ხელშეკრულება – აგენტს და მესამე პირ(ებ)ს - სუბაგენტ(ებ)ს შორის დადებული ხელშეკრულება გადახდების მიღების ორგანიზაციასთან დაკავშირებით მიმღებ(ებ)ის სასარგებლოდ. სუბსააგენტო ხელშეკრულების თანახმად აგენტი მესამე პირთა - სუბაგენტთა მოქმედებზე პასუხისმგებელია საგადახდო მომსახურების პროვაიდერის წინაშე.

1. ზოგადი დებულებანი

- 1.1. აგენტი ვალდებულია აგენტის ტერიტორიაზე საგადახდო მომსახურების პროვაიდერის დავალებით და შესაბამისი მიმღების ინტერესებისათვის გადამხდელისგან მიიღოს გადახდები.
- 1.2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი თავის მხრიდან ვალდებულია უზრუნველყოს აგენტი, აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით გადარიცხვების მიღებისათვის.

2. აგენტის მოქმედება

- 2.1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სისტემაში პირველადი ჩართვისას, გადახდების მიღებამდე აგენტი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სისტემაში;
- 2.2. აგენტი ვალდებულია აცნობოს წერილობით საგადახდო მომსახურების პროვაიდერს გადახდების ახალი პუნქტების გახსნის თაობაზე, გახსნიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში;
- 2.3. აგენტმა უნდა მიიღოს მხოლოდ ის გადახდები, რომლებიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
 - 2.3.1. საგადახდო დავალების გაცემის დროს გადამხდელი უთითებს იმ მონაცემებს, რომლებიც, კონკრეტული მიმღების მიერ არის წინასწარ განსაზღვრული;
 - 2.3.2. აგენტის ვალდებულება საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიმართ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიის წარმოდგენის/გადახდების მიღებამდე საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საბანკო ანგარიშზე საგარანტიო შენატანის განხორციელების გზით. საგარანტიო შენატანში ფულადი სახსრების არარსებობისას აგენტის ვალდებულება ითვლება არაუზრუნველყოფილად და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს უფლება აქვს შეაჩეროს/შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება. ასევე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია, აგენტის საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიმართ ნებისმიერი დავალიანების დასაფარად ჩამოწეროს აგენტის დამატებითი თანხმობის გარეშე უაქცეპტოდ თანხები ზემოაღნიშნული საგარანტიო შენატანიდან. ხელშეკრულების შეჩერების უფლებამოსილებას საგადახდო მომსახურების პროვაიდერი იყენებს საკუთარი ბიზნეს-ინტერესებიდან გამომდინარე იმ შემთხვევაში, თუ აგენტის ვალდებულებები არ არის უზრუნველყოფილი ამ პუნქტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი გამოიყენებს შეჩერების უფლებამოსილებას, ხდება აგენტის საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სისტემიდან გამორთვა და მისი მხრიდან გადახდების მიღების შეჩერება. იმ შემთხვევაში თუ ამგვარი შეჩერება გაგრძელდება 30

(ოცდაათი) კალენდარული დღის მანძილზე, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია შეწყვიტოს აგენტთან გაფორმებული ხელშეკრულება და მოითხოვოს აგენტის მხრიდან არსებობის შემთხვევაში ფულადი ვალდებულებების დაუყოვნებლივ შესრულება.

- 2.4. აგენტსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის მონაცემების შეჯერება უნდა განხორციელდეს გადახდების მიღების შესახებ ხელშეკრულებით დადგენილი წესის და ვადების შესაბამისად. შედარების აქტი მოიცავს ინფორმაციას აგენტის მიერ მიღებული გადახდების, გადარიცხული გადახდების თანხების და ანაზღაურების გადახდების შესახებ. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი შედარების აქტის განთავსებას ახდენს „დილერის“ კაბინეტში, სადაც აგენტს შეუძლია გაეცნოს და არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადისა და წესის შესაბამისად დააფიქსიროს საკუთარი შენიშვნები.

3. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მოქმედება

- 3.1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია განახორციელოს კონტროლი მიღებული გადახდების ჩარიცხვის სისრულესა და დროულობაზე;
- 3.2. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების შედეგად აღმოჩენილ იქნება რაიმე შეუსაბამობანი, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია აღმოჩენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა წერილობით შეატყობინოს შემოწმების შედეგები აგენტს, რომლის ბრალეულობითაც მოხდა შეუსაბამობა. ამასთან საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია შემოწმება განახორციელოს აგენტის მიერ განხორციელებულ ბრუნვებთან დაკავშირებით 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში.
- 3.3. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია ცალმხრივად განახორციელოს აგენტთან გაფორმებულ დამატებით შეთანხმებაში არსებულ მიმღებების ჩამონათვალში ცვლილებები, აგენტის წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ასეთ შემთხვევებში, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია ცვლილებ(ებ)ის შესახებ, მათი განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (ელექტრონულ საფოსტო მისამართზე/დილერის კაბინეტში ან ნებისმიერი ელექტრონული სხვა საშუალებით შეტყობინების გაგზავნით) აცნობოს აგენტს. აგენტი თავის მხრივ ვალდებულია, მიღებული შეტყობინების ფორმით ან წერილობით შეატყობინოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერს მისი თანხმობა ან უარი ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელებაზე შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში. დადგენილ ვადაში აგენტის მხრიდან შეტყობინების მიუღებლობის შემთხვევაში ითვლება, რომ აგენტი თანახმაა ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელებაზე. ცვლილებები განხორციელებულად ჩაითვლება და ამოქმედდება აგენტის თანხმობის მიღების ან/და აგენტის მიერ შეტყობინების გაგზავნის ვადის გასვლის დღის შემდგომი დღიდან. იმ შემთხვევაში თუ აგენტი არ დაეთანხმება ახალ წინადადებას საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია შეწყვიტოს ან შეაჩეროს მასთან გადახდების მიღების შესახებ ხელშეკრულება და მის საფუძველზე გაფორმებული ყველა შეთანხმება.
- 3.4. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია ცალმხრივად განახორციელოს აგენტთან გაფორმებული დამატებით შეთანხმებაში მითითებულ საკომისიოების ოდენობებში ცვლილებები, აგენტისათვის ცვლილებებამდე წინასწარ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით. შეტყობინება შეიძლება გაგზავნილ იქნეს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (ელექტრონულ საფოსტო მისამართზე/დილერის კაბინეტში ან ნებისმიერი ელექტრონული სხვა საშუალებით შეტყობინების გაგზავნით). აგენტი თავის მხრივ ვალდებულია, მიღებული შეტყობინების ფორმით ან წერილობით შეატყობინოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერს მისი თანხმობა ან უარი ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელებაზე შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში. დადგენილ ვადაში აგენტის მხრიდან შეტყობინების მიუღებლობის შემთხვევაში ითვლება, რომ აგენტი თანახმაა ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელებაზე. ცვლილებები განხორციელებულად ჩაითვლება და ამოქმედდება აგენტის თანხმობის მიღების ან/და აგენტის მიერ შეტყობინების გაგზავნის ვადის გასვლის დღის შემდგომი დღიდან. იმ შემთხვევაში თუ აგენტი არ დაეთანხმება ახალ წინადადებას საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია შეწყვიტოს ან შეაჩეროს მასთან გადახდების მიღების შესახებ ხელშეკრულება და მის საფუძველზე გაფორმებული ყველა შეთანხმება.
- 3.5. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია ცალმხრივად განახორციელოს აგენტთან გაფორმებულ გადახდების მიღების შესახებ ხელშეკრულებაში ან/და მის საფუძველზე გაფორმებულ

ნებისმიერ შეთანხმებაში (მათ შორის დამატებით შეთანხმებაში, გარდა ამ დოკუმენტის 3.3 და 3.4 პუნქტებში და მერვე მუხლში მითითებული ცვლილებების შესახებ უფლებამოსილებისა) ცვლილებები, აგენტის წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ასეთ შემთხვევებში, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია ცვლილებ(ებ)ის შესახებ, მათი განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (ელექტრონულ საფოსტო მისამართზე/დილერის კაბინეტში ან ნებისმიერი ელექტრონული სხვა საშუალებით შეტყობინების გაგზავნით) აცნობოს აგენტს. აგენტი თავის მხრივ ვალდებულია, მიღებული შეტყობინების ფორმით ან წერილობით შეატყობინოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერს მისი თანხმობა ან უარი ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელებაზე შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში. დადგენილ ვადაში აგენტის მხრიდან შეტყობინების მიუღებლობის შემთხვევაში ითვლება, რომ აგენტი თანახმაა ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელებაზე. ცვლილებები განხორციელებულად ჩაითვლება და ამოქმედდება აგენტის თანხმობის მიღების ან/და აგენტის მიერ შეტყობინების გაგზავნის ვადის გასვლის დღის შემდგომი დღიდან. იმ შემთხვევაში თუ აგენტი არ დაეთანხმება ახალ წინადადებას საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია შეწყვიტოს ან შეაჩეროს მასთან გადახდების მიღების შესახებ ხელშეკრულება და მის საფუძველზე გაფორმებული ყველა შეთანხმება.

4. აგენტის ანაზღაურების გადახდის წესი.

- 4.1. აგენტის ანაზღაურების გამოთვლა ხდება ეროვნულ ვალუტაში შემდეგი წესის მიხედვით:
 - 4.1.1. იმ შემთხვევაში თუ აგენტის ანაზღაურება გამოითვლება პროცენტულად, საკომისიოს გაანგარიშება ხდება კონკრეტული პროვაიდერისთვის გადასახდელი თანხიდან;
 - 4.1.2. იმ შემთხვევაში თუ აგენტის ანაზღაურება განსაზღვრულია ფიქსირებული თანხით თითოეული გადახდიდან, საკომისიოს გაანგარიშება ხდება განხორციელებული გადახდების (ტრანზაქციების) ოდენობიდან გამომდინარე.
- 4.3. მხარეები შესაძლოა დამატებით შეთანხმდნენ აგენტის ანაზღაურების განსხვავებულ წესზე ან სხვა სახის ანაზღაურებაზე. აღნიშნული შეთანხმებისთვის აუცილებელია წერილობითი ფორმა.
- 4.4. აგენტისათვის გადასახდელი ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება მასთან გაფორმებული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით.
- 4.5. აგენტს უფლება აქვს აიღოს გადამხდელისაგან დამატებითი გადასახადი, გადახდების მიღებასთან დაკავშირებულ ქმედებების შესაბამისად მხოლოდ და მხოლოდ საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან დადებული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ამასთანავე დამატებითი გადასახადი არ შედის აგენტის საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ გადასახდელ ანაზღაურებაში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 5.1. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმ ზიანზე, რომელიც შესაძლებელია მიაღდგეს დამრღვევ მხარეს მის მიერ ამ დარღვევის ჩადენის შემთხვევაში.
- 5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირგასამტეხლო ექვემდებარება გადახდას მხოლოდ წერილობითი პრეტენზიის ან ანგარიშის იმ მხარისათვის წარდგენილ შემთხვევაში, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება. პირგასამტეხლო შეიძლება გამოიქვითოს იმ თანხიდან, რომლებიც მანამდე გადაერიცხა პირგასამტეხლოს გადახდის მომთხოვნ მხარეს.
- 5.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შემდგომი შესრულებისგან.

6. ვადები, თარიღები და დრო

- 6.1. ხელშეკრულების მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულების ვადები ითვლება კალენდარული დღეებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულების ვადა გადადის მომდევნო სამუშაო დღეზე.

- 6.2. ხელშეკრულების მხარეთა მიერ ნებისმიერი ქმედებების ჩატარების თარიღი და დრო განისაზღვრება თბილისის დროით.
- 6.3. ნებისმიერი მხარის წერილობით შეტყობინება გაგზავნილად ითვლება იმისდა მიხედვით, თუ რომელი მოვლენა მოხდა უფრო ადრე:
 - 6.3.1. შეტყობინების ტექსტის საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საიტზე გამოქვეყნების მომენტიდან ან აღნიშნული შეტყობინების ელექტრონული სახით გაგზავნის მომენტიდან;
 - 6.3.2. შეტყობინების ფოსტით/ელექტრონული ფოსტით/სხვა ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით გაგზავნის მომენტიდან;
 - 6.3.3. მხარის უფლებამოსილი წარმომადგენელისათვის წერილობითი დოკუმენტის კურიერის ან ფაქსიმილური კავშირის მეშვეობით ჩაბარების მომენტიდან.

7. კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება

- 7.1. მხარეები ვალდებული არიან მიიღონ ყველა საჭირო ზომა ინფორმაციისა და იმ დოკუმენტების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რომელთა მოძრაობა ხდება საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სისტემაში ან რომლებიც საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სისტემის გამოყენებით ხელმისაწვდომია მხარეთათვის.
- 7.2. აგენტი ვალდებულია დამოუკიდებლად მიიღოს ყველა საჭირო ზომა კონფიდენციალურობის დაცვის, არასანქცირებული გამოყენების თავიდან აცილებისა და აგენტის აუტენტიფიკაციური მონაცემების მესამე პირთა არასანქცირებული ხელყოფისაგან დაცვის მიზნით.
- 7.3. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა აგენტის შესახებ იმ არასაჯარო მონაცემების მიმართ. რომლებიც საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის ცნობილი გახდა ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით (მათ შორის ავტორიზებული რეკვიზიტები, გადახდების მიმღები პუნქტების შესახებ ინფორმაცია, ანგარიშების მონაცემები), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:
 - 7.3.1. ასეთი ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომია;
 - 7.3.2. გახსნილია აგენტის მოთხოვნის ან თანხმობის საფუძველზე;
 - 7.3.3. ექვემდებარება მესამე პირთათვის გაცნობას იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად;
 - 7.3.4. საჭიროებს გახსნას კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძველზე ან სასამართლოდან ან უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებიდან შესაბამისი მოთხოვნების მიღების გამო;
 - 7.3.5. აგენტსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის არსებული შეთანხმებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 7.4. აგენტი იღებს შემდეგ ვალდებულებებს:
 - 7.4.1. გადახდების სერვისის მეშვეობით არ განახორციელოს უკანონო ფინანსური ოპერაციები, უკანონო ვაჭრობა, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციაზე მიმართული ოპერაციები, და ასევე ნებისმიერი სხვა ოპერაციები, რომლებიც არღვევენ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
 - 7.4.2. თავიდან აიცილოს უკანონო ვაჭრობის, უკანონო ფინანსური ოპერაციების, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციაზე (ფულის გათეთრებაზე) მიმართული ოპერაციების მცდელობები.
- 7.5. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი იტოვებს უფლებას უარი უთხრას აგენტს გადახდების მიღების ტექნიკურ შესაძლებლობაზე უარის მიზეზის მითითების გარეშე, მათ შორის აგენტის ქმედებებში მართლზომიერი ეჭვის შეტანის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია მმოთხოვოს აგენტის ქმედებების მართლზომიერების დამადასტურებელი დამატებითი ინფორმაციის მიღება.
- 7.6. აგენტი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა საიდუმლოდ შეინახოს თავისი ავტორიზირებული მონაცემები. წინამდებარე წესების დაცვისა და საკუთარი უსაფრთხოების მიზნით.
 - 7.6.1. აგენტი ვალდებულია:
 - 7.6.1.1. პირველი ტრანზაქციის ჩატარებამდე შეცვალოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სისტემაში შესვლის ადმინისტრატორის პაროლი;
 - 7.6.1.2. არ გაუზიაროს მესამე პირებს აგენტის ნებისმიერი აუტენტიფიკაციური მონაცემები;

- 7.6.1.3. არ გადასცეს აგენტის აუტენტიფიკაციური მონაცემები კავშირის დია არხების მეშვეობით (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, და ა. შ.);
- 7.6.1.4. არ შეატყობინოს პაროლი საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სისტემის თანამშრომლებს;
- 7.6.1.5. არ ჩაწეროს აგენტის აუტენტიფიკაციური მონაცემები ადვილად ამოსაცნობი ფორმით მესამე პირთათვის ხელშეწყობი ინფორმაციის ნებისმიერ მატარებლებში (ჟურნალები, მემორიალური ფურცლები, დისკეტები და ა.შ.);
- 7.6.1.6. პერიოდულად, არანაკლებ ექვს თვეში ერთხელ შეცვალოს აგენტის პაროლი;
- 7.6.1.7. პაროლების სახით არ გამოიყენოს სიმბოლოების ადვილად შესარჩევი კომბინაცია (ციფრების რიგი, იუბილეები, დაბადების თარიღები, საკუთარი სახელები, და ა.შ.);
- 7.6.1.8. არსებობის შემთხვევაში პაროლის შერჩევისას იხელმძღვანელოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ გამოქვეყნებული შესაბამისი რეკომენდაციებით.
- 7.7. ამ დოკუმენტით განსაზღვრული წესების თანახმად მხარეთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების დარღვევას არ წარმოადგენს:
 - 7.7.1. მესამე მხარეთათვის კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდება ხელშეკრულებისა და მხარეთა ურთიერთშეთანხმების შესრულების მიზნით;
 - 7.7.2. კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდება სამართალდამცავი ან სხვა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებს კანონიერი მოთხოვნით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. სხვა პირობები

- 8.1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს უფლება აქვს ცვლილებები (დამატებები) შეიტანოს ინსტრუქციის ტექსტში ცვლილების (დამატებების) განხორციელებამდე 10 (ათი) დღით ადრე საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ვებგვერდზე www.tbcpay.ge შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მეშვეობით.
- 8.2. ამ ინსტრუქციის 8.1. პუნქტში აღწერილ შემთხვევაში აგენტს უფლება ექნება საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებიდან 10 (ათი) დღის გასვლამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ამ ინსტრუქციის და გადახდების მიღების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და ვადების შესაბამისად.
- 8.3. იმ შემთხვევაში, თუ აგენტი არ ისარგებლებს ამ ხელშეკრულების 8.2. პუნქტში აღწერილი უფლებით, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება აგენტის მიერ მიღებულად, ინსტრუქცია კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად.

„საგადახდო მომსახურების პროვაიდერი“

„აგენტი“

შპს „თიბისი ფი“

ს/ნ 204559361

მის: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ №7

ს/ნ 000

მის: ქ. თბილისი, 000000000

_____/დ.კენჭაძე/

_____/ბ.ა./